



ბაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №94

2011 წლის 22 ივლისი
ქალაქი ბაშური

ბაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებში არსებული წიგნადი ფონდიდან წიგნების ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

2011 წლის ივნისის თვეში ბაშურის მუნიციპალიტეტში შემოსულია ბაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების განცხადებები, რომლითაც მოგვმართავენ თხოვნით ბაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდიდან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით წიგნების მათთვის გადაცემას. ბაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებში არსებული წიგნადი ფონდის საინვენტარიზაციო კომისიის და კომისიის ჯგუფების მიერ ბაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისათვის წიგნების გადაცემის შესახებ წარმოდგენილი წინადადებების გათვალისწინებით და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

1. დაკმაყოფილდეს ბაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოთხოვნა ა(ა)იპ „ბაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“-ში (შემდგომში – საბიბლიოთეკო გაერთიანება) არსებული წიგნადი ფონდიდან წიგნების მათთვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

2. ბაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების წიგნადი ფონდის საინვენტარიზაციო კომისიის და კომისიის ჯგუფების მიერ ბაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისათვის წიგნების გადაცემის შესახებ წარმოდგენილი წინადადებების გათვალისწინებით დაევალოს ბაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და გამგეობას ამ განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს საბიბლიოთეკო გაერთიანებაში არსებული წიგნადი ფონდიდან წიგნების ხაშურის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლებისათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. დაევალოს ბაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას ზედამხედველობა გაუწიოს საბიბლიოთეკო გაერთიანების წიგნადი ფონდიდან წიგნების ხაშურის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლებისათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით საინვენტარიზაციო კომისიის მიერ გადაცემასა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას.

4. დაევალოს საბიბლიოთეკო გაერთიანებას წიგნადი ფონდიდან წიგნების ხაშურის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლებისათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში წარმოადგინოს ახალი საშტატო განრიგი ბაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შესათანხმებლად.

5. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე